აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო (06 01)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ სფეროებში ხელს უწყობს საქართველოს ხელისუფლებისა და აფხაზეთის მთავრობის ძალისხმევას, განახორციელოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში სახელმწიფო სტრატეგია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერითა და განსაზღვრული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სამინისტრომ 2021 წლის განმავლობაში ძირითადი პრიორიტეტების მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები განახორციელა.

პრიორიტეტის დასახელება: ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტია მომავალი თაობის ხარისხიანი განათლებით უზრუნველყოფა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებულ ტერიტორიაზე - გალის რაიონში განთავსებულ სკოლებში.

განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად დასახული მიზნები:

- სკოლების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- გალის რაიონში მცხოვრები სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა;
- განათლების პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების პროცესებში მონაწილეობა;
- სამშვიდობო კულტურის დანერგვისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება აფხაზეთის საჯარო სკოლებში;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტივობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროგრამების შემუშავება და სათანადო ღონისძიებების გატარება და სხვა;
- მოსწავლეებისა და პედაგოგების პრობლემების იდენტიფიცირება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბიუჯეტია **981 170** ლარი, ხოლო სამინისტროში მოქმედი პროგრამა/ქვეპროგრამის ბიუჯეტია **651 310** ლარი, სულ: **1 632 480** ლარი (პროგრამული დაფინანსების წილი სამინისტროს ბიუჯეტისა შეადგენს **66%**). სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბიუჯეტის წლიურმა ხარჯმა შეადგინა **977 653** ლარი, ხოლო სამინისტროში მოქმედი პროგრამა/ქვეპროგრამის ბიუჯეტის ხარჯია **643 885,55** ლარი.

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სამინისტროს შესაბამისი სამსახური ახორციელებს შემდეგ პროგრამებს :

- განათლების ხელშეწყობის პროგრამა - 0604;
- გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 09).

ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, 2021 წელს განხორციელდა შემდეგი ქვეპროგრამები:

1. გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 09)

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ოკუპირებული გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და მუსიკალური და სამხატვრო სკოლების პედაგოგებისა და ადმინტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება, რაც ხელს უწყობს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შედეგი:

საანგარიშო პერიოდისთვის ,,გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (9 საბავშვო ბაღი), 4 მუსიკალური და 1 სამხატვრო სკოლის 181 ბენეფიციარი, მათ შორის 89 პედაგოგი, 92 ტექნიკური პერსონალი.

ბიუჯეტი: 334 800 ლარი;

ხარჯი: 334 078,28 ლარი.

2. ,,წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა“ (პროგრამის კოდი 06 04 02)

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება აფხაზეთიდან დევნილი წარმატებული, ნიჭიერი, საზოგადოებრივად აქტიური სტუდენტი-ახალგაზრდების სწავლების ფინანსური მხარდაჭერა, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას, პროფესიულ ზრდასა და განვითარებას. კონკრეტული პროექტის განხორციელება წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქმედით ღონისძიებას.

შედეგი:

2021 წლის მანძილზე განხილულ იქნა 284 განცხადება, პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით დაფინანსდა 236 წარმატებული ახალგაზრდა აფხაზეთიდან.

ბიუჯეტი: 144 092 ლარი
ხარჯი: 144 011,08 ლარი

3. აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერა (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 17)

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამა ემსახურება აფხაზური ენის დაცვას, პოპულარიზაციასა და განვითარებას მოზარდ-ახალგაზრდებში. პროგრამის ბენეფიციერებს წარმოადგენენ აფხაზეთის საჯარო სკოლების აფხაზური ენის პედაგოგები. სამინისტრო ,,აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს აფხაზური ენის მასწავლებლების ფინანსურ დახმარებას.

შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდებიან აფხაზეთის საჯარო სკოლის აფხაზური ენის პედაგოგები (5 ხუთი პედაგოგი).

ბიუჯეტი: 17 500 ლარი
ხარჯი: 17 500 ლარი

4. აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 12)

პროგრამის აღწერა

პროგრამა ემსახურება ახალგაზრდებში მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების საგნების შესწავლის მოტივაციის ამაღლებას, მათი ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას და პროფესიონალებად ჩამოყალიბებას.

შედეგი:

ქვეპროგრამის ,,აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია“ ფარგლებში ელენე ესიავას სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტს მიენიჭა ,,აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია“.

ბიუჯეტი: 2 020 ლარი
ხარჯი: 2 020 ლარი

5. „სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“ (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 01)

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის ფარგლებში, სკოლების საჭიროებებიდან გამომდინარე სკოლებისათვის გამოიყოფა თანხა სასწავლო პროცესისათვის, სასკოლო და სახელოვნებო ღონისძიებების უზრუნველყოფისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების, ინვენტარის, საკანცელარიო ნივთების, თვალსაჩინოებების, კლასგარეშე დამხმარე ლიტერატურისა და ასევე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საჭირო მასალების შესაძენად.

შედეგი:

2021 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ განიხილა 7 განაცხადი, შედეგად:

•ოკუპირებული გალის რაიონის 30 სკოლის საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფის მიზნით გამოიყო 2,278,38 ლარი და შეძენილ იქნა და გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეცა;

• სსიპ აფხაზეთის N15 საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟებისთვის გამოეყო 18061,52 ლარის დაფინანსება;

•სსიპ აფხაზეთის N14 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზის რეაბილიტაციისთვის გამოეყო 9 664,29 ლარი;

•სსიპ აფხაზეთის N21 საჯარო სკოლის შენობის ფასადის რეაბილიტაციისთვის გამოეყო 2520.84 ლარი;

•სსიპ აფხაზეთის N5 საჯარო სკოლის საკლასო ოთახებისთვის 12 (თორმეტი) კარების შეძენისთვის გამოეყო 2 880 ლარი;

•სსიპ აფხაზეთის N5 საჯარო სკოლას ბიბლიოთეკის ოთახისთვის ფარდა-ჟალუზის შეძენისთვის გამოეყო 476.52 ლარი;

•სსიპ ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის N3 საჯარო სკოლას 11(თერთმეტი) საკლასო ოთხისთვის კარების შეძენისთვის გამოეყო 3 357,75 ლარი.

ბიუჯეტი: 38 358 ლარი;
ხარჯი: 38 048,33 ლარი.

6. დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 11)

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამა ემსახურება სტუდენტებში აფხაზეთის თემატიკის გააქტიურებასა და პოპულარიზაციას, ახალგაზრდების მხარდაჭერასა და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას.

შედეგი:

• ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია ბაკალავრიატის საფეხურზე მიენიჭა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს **კოკა ბერაიას.**

- ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია მაგისტრატურის საფეხურზე მიენიჭა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს **ვახტანგ ნოღაიდელს.**

ბიუჯეტი: 1 630 ლარი
ხარჯი: 1 630 ლარი

7. შეხვედრები (ღვაწლმოსილ პედაგოგებთან; მედალოსან კურსდამთავრებულებთან; წარმატებულ სტუდენტ -ახალგაზრდობასთან) (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 14)

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამა ემსახურება აფხაზეთიდან დევნილი ღვაწლმოსილი პედაგოგების მხარდაჭერას, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას, ახალგაზრდებში სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებას.

შედეგი:

ა) მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით გაიმართა მასწავლებელთა მიღება, მადლობის სიგელითა და საჩუქრებით დაჯილდოვდა 6 ღვაწლმოსილი პედაგოგი აფხაზეთიდან;

ბ) აფხაზეთის საჯარო სკოლების სამ პედაგოგს მიენიჭა 2021 წლის აფხაზეთის წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება:

გ) 2021 წლის 21 დეკემბერს ვალერი არქანიას სახელობის არტგალერეაში გაიმართა შეხვედრა 2019-2020 წლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსან წარმატებულ სტუდენტ-ახალგაზრდებთან.

ბიუჯეტი: 3150 ლარი
ხარჯი: 3131,92 ლარი

8. ,,თანაბარი შესაძლებლობები-თანაბარი მზრუნველობა“ (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 15)

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამა ემსახურება სპეციალური და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს შშმ მოზარდთა სოციალიზაციის პროცესს.

შედეგი:

- აფხაზეთის საჯარო სკოლებისა და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლების სპეციალური და დაწყებითი საფეხურის 22 პედაგოგებისთვის ჩატარდა გადამზადების ონლაინ ტრენინგი - ,,ნეიროპლასტიურობა და განათლება ადრეული და დაწყებითი განათლების დამხმარე სასწავლო ტექნოლოგიები." ტრენინგი მიმდინარეობდა 7 სამუშაო დღის განმავლობაში. ტრენინგის მონაწილეები უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაბამისი ვიდეო ფილმებითა და რესურსით. პედაგოგებს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატები.
- 3 დეკემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ მსოფლიო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საუკეთესო ქალ პარასპორტსმენსა და 50 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს უმასპინძლა, მოწვეულ სტუმრებს გადაეცათ საჩუქრები.

ბიუჯეტი: 6000 ლარი
ხარჯი: 6000 ლარი

9. ონლაინ საკვირაო სკოლა (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 20)

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის ფარგლებში გალის რაიონის საშუალო და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ 3 საგნობრივი მიმართულების - ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ხელოვნების განსხვავებული ფორმატით სწავლების პროცესში. ონლაინ შეხვედრები იმართება ინტერაქტიული, თამაშით სწავლებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა განსხვავებულად შეიმეცნონ ტრადიციული საგნები.

შედეგი:

- გაფორმდა ხელშეკრულებები პედაგოგებთან და კოორდინატორებთან;
- ქვეპროგრამის ფარგლებში გალის რაიონის საშუალო და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს (ბენეფიციართა რაოდენობა 80 მოსწავლე) ჩაუტარდათ 3 საგნობრივი მიმართულების - ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ხელოვნების გაკვეთილები. ონლაინ შეხვედრები გაიმართება ინტერაქტიული, თამაშით სწავლებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით. მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა განსხვავებულად შეემეცნოთ ტრადიციული საგნები.
- თითოეულ ჯგუფს ჩაუტარდა 26 შეხვედრა თითო საგნობრივი მიმართულებით;

ბიუჯეტი: 12 210 ლარი
ხარჯი: 12 210 ლარი

„აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა“ (პროგრამის კოდი: 06 05)

პროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი მეცნიერების მხარდაჭერა და სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის ხელშეწყობა.

შედეგი: პროგრამის ფარგლებში დააფინანსდა 9 მეცნიერის ნაშრომი:

1.ლია ახალაძე - ,,განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები XIX-XX საუკუნეების აფხაზეთში“ (გამეყო დაფინანსება **1 200** ლარი).

2.დავით ჩიტაია - ,,ქართულ - აფხაზური პოლიტიკური ურთიერთობები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ (გამოეყო დაფინანსება **2 200** ლარი).

3.ბეჟან ხორავა - ,,ქვეყანა სავსე ქრისტეს სარწმუნოებით“ (გამოეყო დაფინანსება **1 050** ლარი).

4.სოფიკო ჭაავა - ,,საქართველოს ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 20-იან წლებში“ (გამოეყო დაფინანსება **1 500** ლარი).

5. ოთარ ჟორდანია - ,,ჩანაწერები საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე“ (გამოეყო დაფინანსება -**1 850** ლარი).

6.სოფიო კეკუა - „ოდიშ-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით“ (გამოეყო დაფინანსება -**1 240** ლარი).

7.კესო გეჯუა - „მეგრული სიტყვა-ფორმები და ქართველთა სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდი“ (გამოეყო დაფინანსება -**1 240** ლარი).

8.ჯამბულ ანჩაბაძე - „ნესტორ ლაკობას პიროვნება და ქართულ-აფხაზური დაპირისპირება“ (გამოეყო დაფინანსება - **690** ლარი).

9.ქეთევან მანია - აფხაზეთი და ქართული იდენტობა ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით“ (გამოეყო დაფინანსება -**1 100** ლარი).

10.

ასევე, პროგრამის ფარგლებში მგზავრობის ხარჯები დაუფინანსდა 4 სტუდენტს:

1.დავით ბერულავა - ვილნიუსის გედიმინას უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი (წარმოდგენილი აქვს ბილეთის ინვოისი თბილისი- რიგა- ვილნიუსის მიმართულებით **1 147** ლარზე).

2.მარიამ ფილიშვილი - უნგრეთის დებრეცენის უნივერსიტეტის ევროპულ და საერთაშორისო ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი (წარმოდგენილი აქვს ბილეთის ჯავშანი ქუთაისი- ბუდაპეშტის მიმართულებით **790** ლარზე).

3.გიორგი სილაგაძე - ბარსელონის სივრცის HARBOUR.SPACE უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის ციფრული მარკეტინგის სტუდენტი (წარმოდგენილი აქვს ბილეთის ინვოისი თბილისი-სტამბოლი-ბარსელონის მიმართულებით **621** ლარზე).

4.თეკლე ფარცვანია - ბარსელონა, ევროკავშირის ბიზნეს სკოლის ბიზნესის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი (წარმოდგენილი აქვს ბილეთის ინვოისი თბილისი- სტამბოლი-ბარსელონის მიმართულებით **621** ლარზე).

ბიუჯეტი: 15 000 ლარი

ხარჯი: 14 994,50 ლარი

,,კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამას“ (პროგრამის კოდი 06 10).

10. ქვეპროგრამა: ფოტოგამოფენა „კადრები აფხაზეთიდან“ (ქვეპროგრამის კოდი 06 10 18)

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის მიზანია საზოგადოების ინფორმირება აფხაზეთის უდიდესი ისტორიისა და კულტურის შესახებ, საზოგადოებისათვის აფხაზეთის უცნობი/ნაცნობი კადრების გაცნობა. ამ უნიკალური კუთხის სხვა რაკურსით წარმოჩენა და დაინტერესებულ საზოგადოებამდე სწორი გზავნილების მიტანა.

შედეგი:

სახელმწიფო არქივში, ლიტერატურის მუზეუმში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში და კერძო კოლექციებში დაცული ფოტომასალის მოძიება-სელექციის შედეგად სახელმწიფო არქივიდან 35 ფოტოს შესყიდვა მოხდა.

ფოტოგამოფენისთვის სულ დაიბეჭდა 55 ფოტოსურათი.

21.05.2021 წ. ქ. თბილისში მზიურის პარკში გაიმართა ფოტოგამოფენა „კადრები აფხაზეთიდან“. დამთვალიერებლებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია აფხაზეთში ქართული არიტექტურული ძეგლების, ურბანული განაშენიანების, საფორტეფიკაციო ნაგებობების, სარეკრიაციო ზონების წარმომავლობის, აფხაზეთის გამოჩენილი სპორტსმენების და ხელოვნების დარგის შესახებ.

გამოფენის დასრულების შემდეგ ფოტოები გამოიფინა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შენობაში, რომელიც დამთვალიერებელს აფხაზეთში მოგზაურობის განწყობას უქმნის.

ფოტოები ასევე გამოყენებულ იქნა სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებებში.

ბიუჯეტი: 4000 ლარი
ხარჯი: 4000 ლარი

11. ქვეპროგრამა: სალექციო კვირეული „აღმოაჩინე აფხაზეთი“ (ქვეპროგრამის კოდი 06 10 11)

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდების აფხაზეთის თემატიკით დაინტერესება, აფხაზეთის ისტორიის, კულტურის მიმართულებით ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

შედეგი:

01.06.2021წ. ხელოვნების სასახლის დირექტორმა, ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ ოთხმოცამდე აფხაზეთის და თბილისის საჯარო სკოლის მოსწავლეს, სტუდენტს აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან წაუკითხა ლექცია თემაზე: „აფხაზეთი - ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ უძველეს რუკებზე“. ბენეფიციარები ხელოვნების სასახლეში დაცულ რელიკვიებს გაეცნენ.

11.06.2021წ. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი / National Centre of Manuscripts-ში სამოცდაათამდე აფხაზეთის საჯარო სკოლის

მოსწავლე და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი აფხაზეთის უძველეს ხელნაწერებს და ცენტრში მოქმედი სარესტავრაციო ლაბორატორიის საქმიანობას გაეცნო. ახალგაზრდებმა მოისმინეს ლექცია თემაზე: ,,აფხაზეთი შუა საუკუნეებში - აფხაზთა სამეფო", ასევე ქაღალდის აღდგენის ვორქშოპში მიიღეს მონაწილეობა.

დასასრულს ყველა მონაწილეს ცენტრისგან სიმბოლური საჩუქრები გადაეცა.

16.07.2021წ. ქ. ზუგდიდში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ ოთხმოცდაათამდე აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეს და ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსულ სტუდენტებს აფხაზეთთან დაკავშირებულ ხედვებზე და სამომავლო გზებზე ესაუბრა.

ყველა მონაწილეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროდან სიმბოლური საჩუქრები გადაეცა.

24.10.2021წ. ქ. ბათუმში ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში თბილისის მუზეუმების გაერთიანების გენერალური დირექტორი ნინი სანადირაძე აფხაზეთიდან დევნილ ბათუმის საჯარო სკოლების მოსწავლეებს და ბათუმის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, (სულ 55 ახალგაზრდას) თემაზე - „აფხაზეთი - მეხსიერების მუზეუმი“ - ესაუბრა.

ყველა მსმენელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროდან სიმბოლური საჩუქრები გადაეცა.

4.11.2021წ. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში მწერალი დათო ტურაშვილი ლექციას თემით „აფხაზეთი“ გაუძღვა, რომელსაც დაესწრო 50 მოსწავლე/ახალგაზრდა, მათ შორის ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები და ქუთაისში განთავსებული აფხაზეთის საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეები.

ბიუჯეტი: 10000 ლარი
ხარჯი: 6930 ლარი

12. ქვეპროგრამა: სამეცნიერო კონფერენცია (ქვეპროგრამის კოდი 06 10 01)

ქვეპროგრამის აღწერა

ვინაიდან, აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პირდაპირი მექანიზმები არ არსებობს, სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომები, განხორციელებული კვლევითი საქმიანობა და ამ პროცესში მომუშავე მეცნიერების, მკვლევარების, დარგის სპეციალისტებისა და მოწვეული უცხოელი ექსპერტების ჩართულობა-გამოცდილების გაზიარება, ხელს შეუწყობს აღნიშნული მიმართულებით საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების კონცენტრირებას.

სამეცნიერო კონფერენციის მასალები გამოიცემა კრებულის სახით და გავრცელდება სამეცნიერო, საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

შედეგი:

16.10.2021წ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ეგიდით, დისტანციური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი“ გაიმართა.

კონფერენცია ცნობილი კავკასიოლოგის, აფხაზოლოგისა და ქართველოლოგის, პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძის დაბადების 70 წლის იუბილეს მიეძღვნა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს, ჩრდილოეთ კავკასიისა და თურქეთის უნივერსიტეტების მეცნიერები და მკვლევარები. კონფერენციას უძღვებოდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი ლია ახალაძე.

კონფერენციის ფარგლებში გამოიცა სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული.

ბიუჯეტი: 3000 ლარი
ხარჯი: 3000 ლარი

13.ქვეპროგრამა: ექსპოზიცია აფხაზეთის მოზაიკა (ქვეპროგრამის კოდი 06 10 19)

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთში არსებული მოზაიკური კულტურის ძეგლების გაცოცხლება და პოპულარიზაცია მოზაიკური ნამუშევრების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით 3D ფორმატში წარდგენისა და გამოფენის მოწყობის საშუალებით.

შედეგი:

15.12.2021 წ. მუზეუმ „ჰოლოზეუმში“ აფხაზეთის მოზაიკის იმერსიული პროექციის ჩვენება გაიმართა, რომელსაც სამთავრობო, არასამთავრობო, დიპლომატიური კორპუსის და ფართო საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ. გამოფენის დამთვალიერებელ სტუდენტებსა და აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებს ფონდ „რიბირაბოს“ წარმომადგენლებმა მოზაიკის მასტერკლასი ჩაუტარეს და მისი დამზადების უნიკალური ტექნოლოგია გააცნეს.

ბიუჯეტი: 25000 ლარი
ხარჯი: 22690 ლარი

14. ქვეპროგრამა: აპლიკაცია „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა“ (ქვეპროგრამის კოდი 06 10 16)

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა მობილური აპლიკაციის საშუალებით ქართულ, აფხაზურ და ინგლისურ ენებზე.

შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში შეიქმნა საქართველოში პირველი მობილური აპლიკაცია ,,აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა“/Abkhazia Heritage, რომლის პრეზენტაცია 2021 წლის 28 დეკემბერს საქართველოს ტექნოლოგიურ პარკში გაიმართა. მობილური აპლიკაცია ხელმისაწვდომია Android და iOS პლატფორმებისთვის და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩამოტვირთონ Play Store-დან და App Store-დან.

ბიუჯეტი: 26550 ლარი
ხარჯი: 25640,87 ლარი

– „კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა-06 07“

„ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემია“ (ქვეპროგრამის კოდი 06 07 17)

პროგრამის აღწერა

ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის კონკურსი ცხადდება ორ წელიწადში ერთხელ. პრემიის მოსაპოვებლად ნამუშევრის წარდგენის უფლება აქვთ როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე სასწავლო დაწესებულებებს, შემოქმედებით და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობენ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგში. კონკურსში გამარჯვებულ პირს მიენიჭება ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება და დიპლომთან ერთად გადაეცემა ფულადი ჯილდო 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

შედეგი: კონკურსზე წარმოდგენილი 27 (ოცდაშვიდი) ნამუშევრიდან დებულებით გათვალისწინებული ყველა პროცედურების დაცვით, ფარული კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი და დიპლომთან ერთად გადაეცა ფულადი ჯილდო 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით. ფინალისტებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 8 000 ლარი

ქვეპროგრამის ხარჯი: 8 000 ლარი